ეკატერინე სოხაძე

იმერეთის სამეფო რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დამდეგს

შესავალი

საქართველოს ისტორიის შესწავლისას მრავლად გვხვდება ბრძოლისა და თავდადების მაგალითები, ამგვარად ვიგებთ თუ რაოდენ დიდი და რთული გზა განვლო ქვეყანამ, რომ დღემდე მოეღწია, რამდენჯერ იქცა ძლიერ სახელმწიფოთა შორის დავის საგნად, რაც განპირობებულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით, ჰეგემონობისკენ მიმართულ ძლიერ სახელმწიფოთა მეზობლობით. ცალსახაა სამხრეთ-კავკასიაში საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, რომ ის ფაქტობრივად იყო და არის ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, იგი უზრუნველყოფს გასასვლელს შავ ზღვაზე. აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიაში მდებარე საქართველო დროთა განმავლობაში ხშირად ხდებოდა სხვადასხვა ცივილიზაციის ინტერესის საგანი. ხოლო მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნეში სამხრეთ-კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთს შორის დაძაბულობა დაიწყო, რასაც რამდენიმე ომი მოჰყვა: 1768-1774, 1787-1791, 1806-1812, 1828-1829, 1853-1856, 1877-1878 წლებში. საქართველო რეგიონში ორ მთავარ აქტორს შორის მოქცეული აღმოჩნდა, განსაკუთრებული ზარალი მიაყენეს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებს.

სტატიაში კი ძირითად აქცენტს ვაკეთებთ თუ რა კუთხით შეეხო იმერეთის სამეფოს ორ ქვეყანას შორის გამართული საომარი მოქმედებების ტალღა. განვიხილავთ რა იმერეთის სამეფოს როლს რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში და ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც არსებობს აღნიშნული თემის ირგვლივ.

მეთოდი

სტატია მომზადებულია ე.წ სამაგიდო კვლევის მეშვეობით, რომელიც ეყრდნობა ჩვენთვის საინტერესო საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო სტატიების, წიგნების, პუბლიკაციების ემპირიული მონაცემებისა და ზოგიერთი ოფიციალური დოკუმენტის ანალიზს, მომზადდა დასმული საკვლევი კითხვების შესახებ მოძიებულ სხვადასხვა ნარატიულ წყაროთა ანალიზი.

შედეგები

ქართულ საისტორიო კვლევებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ურთიერთობაზე ზოგადად საქართველოსთან და არა მის ცალკეულ სამეფოებთან, რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში იმერეთის სამეფოს ჩართულობა და მნიშვნელობა კი სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს, რადგან თვალწინ გხვდება უამრავი ნიუანსი, რომელიც დღემდე ყურადღებას იქცევს და

საჭიროებს გათვალისწინებას. უპრიანია, საკითხის გადახედვა, რადგან XXI საუკუნეშიც, ორივე მათგანი ისევ და ისევ რჩება მთავარ წამყვან ძალად რეგიონში და დღემდე ახორციელებენ ერთგვარ კომბინირებულ სტრატეგიას, რბილი და ხისტი ძალების ერთობლიობისა.

მსჯელობა

რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება მოითხოვდა შავ ზღვაზე გასვლას, ხოლო ოსმალეთი კი თავის მხრივ ცდილობდა ბატონობის გამყარებას შავიზღვისპირეთში. 1768 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო, რომელიც 1774 წლამდე გაგრძელდა. 1769 წელს საბრძოლო მოქმედებები დაიწყო მოლდოვისა და ვალახეთის ტერიტორიაზე, ასევე აზოვის სანაპიროს რეგიონებში. 1771-ში რუსებმა ყირიმის სახანოს ტერიტორია დაიკავეს. ოსმალეთთან ომში რუსეთს საჭირო დამხმარე ძალის მოძიება უნდოდა, სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტეს ქრისტიანი ხალხების გამოყენება და იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირების დამყარება დაიწყეს (გურული, 2010: 26).

ამ პერიოდში იმერეთის სამეფოს შიდა ვითარება მეტად რთული და დაძაბული გახლდათ, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, 1760-იან წლებში ურჩ თავადებთან გამალებული ბრძოლა ჰქონდა სოლომონ I-ს. იმხანად სამეფო-სამთავროთა შორის არსებულ მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ როსტომ რაჭის ერისთავი მიიჩნეოდა და რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ურთიერთდაპირისპირებას. სამეფო-სამთავროებთან ატეხილი ომის გარდა, სოლომონ მეფის წინაშე წამოიჭრა იმერეთის ოსმალთა ქვეშევრდომობიდან გათავისუფლების საკითხი, მაგრამ ამის ძალა იმერეთის სამეფოს არ შესწევდა. აშკარაა, რომ საჭირო იყო სხვა უფრო მსხვილი გარე ძალის დახმარება, ასეთ ვითარებაში ერთადერთ გამოსავალს ცხადია რუსეთი წარმოადგენდა.

1768 წლის 23 ივნისს იმერთა მეფემ რუსეთის საიმპერატორო კარზე თხოვნის წიგნი გაგზავნა, ქუთათელ მიტროპოლიტ მაქსიმე აბაშიძის შუამდგომლობით. თხოვნის წიგნში სოლომონი რუსეთისგან მფარველობას ითხოვდა იმერეთის სამეფოსათვის. გამჭრიახ მეფეს სავსებით კარგად ესმოდა, რომ რუსეთი იმერეთს ქველმოქმედის როლით არ წარუდგებოდა და სანაცვლოდაც მოითხოვდა რამეს, ამიტომ სოლომონი თავის მხრივ პირობას აღუთქვამდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის (ბურჯანაძე, 1961: 115).

ვფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართველ დიპლომატად მივლენილ მაქსიმე ქუთათელს ღრმად სწამდა, რომ რუსეთთან დაახლოების გზით ბოლო მოეღებოდა ოსმალურ პოლიტიკას და სოლომონ მეფეს საშუალება მიეცემოდა თავი დაეღწია ფეოდალური სიძნელეებისგან, შექმნიდა გაწრთვნილ რეგულარულ ჯარს მსგავსად ევროპული წყობისა.

1769 წლის 12 აგვისტოს საქართველოსკენ გამოეშურა რუსეთის არმია გენერალ ტოტლებენის სარდლობით. თავდაპირველად, კახეთში მივიდა და ერეკლე მეფესთან შეხვედრა ითხოვა, კახეთში დაყოვნების შემდეგ კი 27

სექტემბერს უკვე იმერეთს მიადგა და სოლომონ მეფეც ინახულა, სოლომონმა ისარგებლა ვითარებით და შორაპნის ციხის ასაღებად მიუთითა, თვითონ კი იმერეთის საზღვრების გასამაგრებლად გაეშურა. ტოტლებენი ციხეს მიადგა, სადაც ოსმალთა მეციხოვნეები იდგნენ. ამასობაში, ოსმალებმა ამგვარ ხერხს მიმართეს, დადიანის ჯარი შეუსიეს იმერეთს და სოლომონი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. ტოტლებენმა აღარ მიიჩნია საჭიროდ, რომ მარტოს ებრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ და 10 დღიანი ალყის შემდეგ ქართლს დაუბრუნდა. მომდევნო წელს კი ოსმალებმა კიდევ ერთი დარტყმა განახორციელეს იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ, მაგრამ აქაც სოლომონ მეფის სიმამაცემ იმძლავრა და უკუაქცია მტერი. ოსმალთა პოზიციები ნელ-ნელა სუსტდებოდა, მომხდარით ისარგებლა იმერთა მეფემ და დაიწყო ციხეების თურქთა გარნიზონებისგან წმენდა, ცუცხვათის და შორაპნის ციხის აღების შემდგომ, მეფემ ქუთაისი დაიკავა და სრულად გაწმინდა, დაანგრია მეჩეთები და აღადგინა ქრისტიანობა (ბურჯანაძე, 1961: 118).

იმერეთის სამეფოში მიმდინარე შიდა პოლიტიკური მდგომარეობის პარალელურად თვალი ვადევნოთ თუ რა ხდება საერთაშორისო ასპარეზზე, რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რადგან ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოსა და რა საკვირველია, იმერეთის სამეფოს ბედს. 1769 წლის იანვარში ყირიმის ხანი ოთხმოცი ათასიანი ჯარით შეიჭრა უკრაინაში. რუსეთის მეორე არმიამ უკუაქცია ყირიმელი თათრები და აზოვის ზღვის სანაპირო დაიკავა. აპრილსა და ივნისში რუსეთის პირველმა არმიამ ორჯერ მიიტანა იერიში ხოტინზე, მაგრამ უშედეგოდ. 1770 წლის 24-26 ივნისს ეგეოსის ზღვაზე ჩესმენის ყურეში, რუსეთის ესკადრამ გაანადგურა ოსმალთა ფლოტი. რუმიანცევის არმიამ მდინარე ლარგსა და მდინარე კაგულზე გამარჯვებები მოიპოვა. შემდეგ ბენდერის, იზმაილის, კილიასა და აკერმანის ციხესიმაგრეები აიღო.

გარდა რუსეთთან ომისა ოსმალებს ასე ვთქვათ მეორე ფრონტი ჰქონდათ გახსნილი საქართველოს ტერიტორიაზე. 1770 წელს ქართლიდან კვლავ იმერეთს დაბრუნებული ტოტლებენი სოლომონ მეფესთან ერთად ბაღდათის ციხის ასაღებად გაეშურა. ალყისა და ქვემეხების სროლის შემდეგ უვნებლად დარჩენის პირობით თავადვე ჩაბარდნენ ოსმალთა მეციხოვნეები. 6 აგვისტოს ღამით კი ტოტლებენის აშკარა თანადგომით ოსმალთა გარნიზონი შეუმჩნევლად გაიპარა ქუთაისის ციხიდან, რადგან რამდენიმე დღეში ქუთაისის ციხეზე მიიტანეს იერიში, რომელიც ტოტლებენის უსაქციელობის გამო გაჭიანურდა და მეციხოვნეებმა გაქცევა მოასწრეს. ასე რომ, აიღეს უკვე დაცარიელებული ციხე, რომელიც სოლომონმა დაანგრევინა ტოტლებენს. ამ გზით კი ოსმალებს ყველაზე ძლიერი საყრდენი გამოეცალათ (გურული, 2010: 27).

ოსმალთა წინააღმდეგ წამოწყებული სამხედრო ოპერაციების წარმატებით განხორციელება დიდ იმედებს უსახავდა სოლომონ I და ამავე დროს კიდევ უფრო დიდი სამოქმედო გეგმის შემუშავებისკენ უბიძგებდა. რაც კონკრეტულად ეხებოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას. მეფემ ამ გეგმის შესრულება ოდიშისა და გურიის სამთავროს შემოერთებით დაიწყო. საგულისხმოა, რუსეთის პოზიცია, კანცლერი პანინი უკმაყოფილებას არ

მალავდა და იმერეთის ელჩს კვინიხიძეს მკვახედ განუცხადა: ,,ძალიან უსამართლო იქნებოდა, რათა რუსეთის საიმპერიო ჯარებს იმერეთში უშიშროება და სიმშვიდე დაემყარებინათ, მაშინ როცა საკუთარი მფლობელი მასში არ მოანაწილეობს'' (ბურჯანაძე, 1961: 120).

რუსეთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმერეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში და საერთო მოქმედებების საფუძველზე ჯერ შეასუსტა, შემდეგ კი საერთოდაც ბოლო მოუღო ოსმალთა გაბატონებას იმერეთში. ახლა კი შევხედოთ მეორე მხარეს, სადაც რუსეთის სამხედრო შენაერთების რამდენიმე წარუმატებელ მსვლელობას ქართველ მეფეებს აბრალებენ, მეტიც ციტირებას მოვიყვანთ სიტყვებისა, სადაც ეკატერინე II ერთ-ერთ წერილში გარკვევით წერს სოლომონ მეფეს, რომ ჩვენმა ჯარმა ვერცერთ მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია და ეს მიეწერება ქართველების შინაგან უთანხმოებასო. 1772 წელს კი კანცლერი პანინი წერს ,,სარწმუნოა, რომ ქართველ მფლობელთა აზრსხვაობა და შეუსაბამობა,შეუძლებელს ხდიან მტრის წინააღმდეგ მოქმედებასო'' (ბურჯანაძე, 1961: 125).

1772 წლის თებერვალში გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმადაც სამხედრო კორპუსს უნდა დაეტოვებინა საქართველოს საზღვრები. საბოლოოდ, 26 მაისს დატოვეს იმერეთის საზღვრები. შექმნილი ვითარება ყველაზე მეტად ოსმალებს უქმნიდა ზეიმის მიზეზს, რადგან საქართველო მარტო დარჩა მძვინვარე მტრის წინააღმდეგ.

ოსმალეთის საკითხს რაც შეეხება თანდათან სულ უფრო იკვეთებოდა იმერეთზე გალაშქრების საფრთხე და კაცია დადიანის გადაბირებაც ამის აშკარა დასტურს წარმოადგენდა. 1773 წლის ივლისის თვეში მეფეთა შორის სამხედრო ხელშეკრულება დაიდო, რაც ურთიერთდახმარებას ითვალისწინებდა მტრის თავდასხმის შემთხვევაში. 1773 წლის ხელშეკრულების ეფექტურობის დამტკიცება იყო ერეკლე II და სოლომონ I ერთობლივი ლაშქრობა ჯავახეთში და ახალციხის წარმატებით დაკავება. ამას მოყვა 1774 წლის იანვარში პასუხი ოსმალთაგან, ახალციხის ფაშამ იმერეთის დასარბევად ლაშქარი წარგზავნა, ფაშას დახმარება აღუთქვა დადიანმა. სოლომონმა მტერი შეაჩერა და შეშინებულ, უკან გაბრუნებულ ლაშქარს გზა გადაუღობა. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა, რომელიც იმერთა გამარჯვებით დასრულდა, ექვსასი მებრძოლი ტყვედ იგდეს მათ შორის ლეკთა ცნობილი მეთაური კახეთის ამაოხრებელი რაჯაბა, რომელიც სოლომონმა ძღვენის სახით გაუგზავნა ერეკლე მეფეს (ბურჯანაძე, 1961: 125-128).

ამ გამარჯვებას უდიდესი დატვირთვა ჰქონდა იმერეთის სამეფოსთვის, რადგან პირველ რიგში ოსმალებს თავიანთი ძლიერება დაანახეს, მეორეც ის რომ დადიანი თურქებს ჩამოაშორა. აგრეთვე, დიდი გავლენა იქონია ოსმალების მიერ დამონებულ აჭარლებზე, მათ მიეცათ უდიდესი სტიმული და ახალციხის ფაშას დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის აუჯანყდნენ. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ სოლომონ მეფემ ეს ბრძოლა სრული წესრიგითა და ჰუმანური ღირებულებების გათვალისწინებით აწარმოა. აკრძალა დაღუპულთა ძარცვა, დატყვევებულთა გაცვლა-გაყიდვა.

1774 წლის 6 ივნისს რუსეთის ჯარმა ციხესიმაგრეების ჩაკეტვა, სრული ბლოკირება მოახერხა. ამ პირობებში ოსმალები ზავის დადებაზე

დათანხმდნენ, 1774 წლის 10 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის ძალით, რუსეთმა მიიღო შავ ზღვაზე გასასვლელი, შავი ზღვისპირეთის სტეპის ზონა. ხელშეკრულების 23-ე მუხლით, რუსეთის ჯარი სრულად უნდა გამოსულიყო დასახელებული პროვინციებიდან, რომლებზე გავლენაც დიდი ხანია ოსმალეთს ეპყრო, რუსეთის მთავრობა კი დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის უფლებას ცნობდა იმ პირობით, რომ ოსმალეთი უარს იტყოდა იმერეთის ხარკზე, სამუდამოდ შეეშვებოდა ქალებისა და ვაჟების ხარკის სახით მიღებას, არ შეავიწროვებენ ქართველთა რელიგიას, მონასტრებსა და ეკლესიებს. არ შეუშლიან ხელს ძველ ეკლესია-მონასტერთა შეკეთება-განახლებას (გურული, 2010: 28).

იმერეთის სამეფოსათვის მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობები, ამ ყოველივეს გათვალისწინებით მეფე სოლომონმა კიდევ უფრო გააძლიერა თავისი პოზიციები მეზობელ სამთავროებში, სრულად ალაგმა ურჩი მთავრების მოქმედებანი მეფის საწინააღმდეგოდ. ასევე აიხდინა დიდი ხნის სურვილი და სრულიად მოსპო ტყვეთა სყიდვა.

ოსმალეთი ვერ ეგუებოდა ყირიმის სახანოს დაკარგვას. 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთს ყირიმის სახანოს დაბრუნება მოსთხოვდა, რაზეც რუსეთმა უარი განაცხადა. კვლავ დადგა ომის გარდაუვალობის საკითხი. 1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი, რომელიც 1791 წლამდე გაგრძელდა. ომი თავიდანვე რუსეთის უპირატესობით წარიმართა. 1789 წელს ფოქშასთან, ოსმალები კიდევ ერთხელ და ამჯერად უფრო სასტიკად დამარცხდნენ. რუსეთის სამხედრო ფლოტმა შავ ზღვაზე რამდენჯერმე აგემა მარცხი ოსმალეთის სამხედრო ფლოტს (გურული, 2010: 43).

1784 წლის აპრილში, გარდაიცვალა სოლომონ I იმერთა მეფე. ბუნებრივია, აღნიშნულმა ფაქტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია იმერეთის სამეფოში. უპირველესად, ტახტის მემკვიდრის არჩევისგან დაიწყო, რადგან მეფის კანონიერი ძე ალექსანდრე ცოცხალი აღარ იყო, ანდერძის თანახმად, ტახტზე უნდა ასულიყო დავით არჩილის ძე, რომელიც ერეკლე II-ის შვილიშვილი გახლდათ, მაგრამ არსებული მდგომარეობით ისარგებლეს რეაქციონერმა თავადებმა და დავით გიორგის ძეს მიანიჭეს მეფობა. გიორგი სოლომონის ბიძა იყო. დიდეულებს სასტიკად არ მოსწოდათ ერეკლე მეფის შვილიშვილის გამეფების იდეა, რადგან ხედავდნენ საფრთხეს, რაც შემდგომში მდგომარეობდა, დიდი შანსი იყო ქართლ-კახეთის მეფის გავლენის გაძლიერებისა იმერეთზე, იმერეთის სამეფოს გაერთიანება და ამით ფეოდალთა უფლებების შეკვეცა.

1787 წლისთვის იმერეთის სამეფოში სრულიად განსხვავებული რეალობა წარმოგვიდგება, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე აშკარა გახდა, რომ მეფე დავითი სრულებით ვერ გაერკვა რთულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში და თავისი მხრიდან წარგზავნილი ელჩების ვერცერთი ვიზიტიდან საჭირო დასკვნა ვერ გამოიტანა. 1787 წელს კი მან ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) გაგზავნა რუსეთში, რომელმაც ორწლიანი ლოდინის შემდგომ ძლივსღა მიაღწია პეტერბურგს.

საგულისხმოა, იმერეთის სამეფოს მოთხოვნები რუსეთის მთავრობის მიმართ: 1. ახალციხეს,ბათუმსა და ფოთში დასვას თავისი კონსულები, ამ ადგილებში ტყვის გაყიდვის შეჩერებისა და რუსეთის ვაჭრობის გაჩაღების მიზნით. 2. ივაჭროს რუსეთმა აფხაზეთის ნავსადგურებშიც. 3. დაუყოვნებლივ შეიყვანოს იმერეთი თავის მფლობელობაში ეს ყოველივე უნდა მოხდეს აშკარად თუ არადა ფარულად დადოს ხელშეკრულება და იმერეთის მეფეს თვითმპყრობელობის უფლება დაუტოვოს (ბურჯანაძე, 1960: 96).

ელჩად წარგზავნილ ბესარიონ გაბაშვილს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ამასობაში იმერეთში გადატრიალება მოხდა. 1790 წელს, მეფობა ჩამოართვეს დავით გიორგის ძე და ტახტი დაიკავა დავით არჩილის ძემ, რომელმაც სოლომონ II იწოდა. შინა არეულობა და ტახტიდან ჩამოგდება განაპირობა დავით გიორგის ძის მიერ სამეგრელოს დარბევამ, მიუხედავად იმისა, რომ ოდიშის მთავარს კაცია დადიანს დიდი წვლილი მიუძღვოდა დავითის გამეფებაში და გარდაცვალების წინ სწორედ მას შეავედრა თავისი შვილები გრიგოლი და მანუჩარი, რათა მფარველობა გაეწია. დავითმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა ოდიშის ტახტზე გრიგოლის ასვლა და დაივიწყა კაციასთვის მიცემული პირობა, აიღო მახვილი და ოდიში დალაშქრა წამოიყვანა ტყვეები და ალაფით დაბრუნდა, ხოლო სამეგრელოში მანუჩარი გაამეფა. ოდიშის სამთავროც ორად გაიყო გრიგოლისა და მანუჩარის მომხრეებად. ამ ბრძოლაში დავით არჩილის ძე გრიგოლის მხარეს დადგა და თანაც მისი და შეირთო ცოლად. მისთვის მეტად ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა იმერეთის მეფის დასასუსტებლად. ერეკლე მეფეც ,რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყო შვილიშვილის გამეფებით და იმერეთის საზღვრებს ჯარი მიაყენა. გრიგოლისა და დავითის გაერთიანებული ლაშქარიც მზადყოფნაში იყო, ბრძოლა მოხდა 1789 წლის 11 ივლისს ხანის მახლობლად. ამ ბრძოლაში დავით იმერეთის მეფე დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა, ტახტი კი დავით არჩილის ძემ დაიკავა და ბიძის პატივსაცემად სოლომონ II იწოდა (ხახანაშვილი, 1911: 6-7-8).

ამავე წელს აწ უკვე სოლომონ მეორედ წოდებულმა დავითმა, ბესარიონს კვლავ მიანიჭა დესპანობა, პოტიომკინმა თავიდან მიიწვია გაბაშვილი და რუსეთ-ოსმალეთის ომის განმავლობაში პოტიომკინის ბანაკში იმყოფებოდა, 1791 წლის იანვარში კი მოულოდნელად გარდაიცვალა. თუმცა გარდაცვალებამდე დავითმა რუსეთის სამეფო კართან წერილი ,, აზრი და სათხოვნელი'' გაატანა გაბაშვილს, რომელიც ბესიკის ხელით ვერა, მაგრამ ძმის სვიმონის მიერ კი მიიღო პოტიომკინმა, შემდეგ კი გრაფ ბეზდბოროდკომ. წერილში მოთხოვნილია, რომ რუსეთმა ისეთივე ხელშეკრულება გააფორმოს იმერეთთან, როგორიც ქართ-კახეთის სამეფოსთან. სხვა დანარჩენი კი თითქმის იგივე შინაარსისა იყო როგორიც წინა მეფის დროს, მაგრამ რამდენადმე განსხვავებას ვიპოვით დავითსა და სოლომონ მეორის საგარეო პოლიტიკურ კურსს შორის. ის უარს არ აცხადებდა ქვეშევრდომობაზე, მაგრამ ეს ყოველივე წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ორი სახელმწიფოს მუდმივი ურთიერთდახმარება სამხედრო კუთხით. უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, რომ რუსეთმა ამჯერადაც თვალი დახუჭა თხოვნაზე და ახალი მეფის წერილიც ყურადღების მიღმა დარჩა.

რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების განახლების მცდელობის გარდა, მეფემ გადაწვიტა თავის ბიძის, სოლომონ I-ის არამარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკაც გაეგრძელებინა. პირველ რიგში, იმერეთისა და რაჭის მიწები დავით გიორგის ძისგან ჩამორთმეული კვლავ უკან დაუბრუნა ძველ მეპატრონეებს. ასეთი მკვეთრი საშინაო პოლიტიკური კურსის აღებამ ისევ ორად გაყო იმერეთის სამეფო. ამ არეულობის ფონზე, 1790 წლის 11 ივლისს ტახტიდან ჩამოგდებული და გაძევებული დავითი რევანშისთვის მობრუნდა იმერეთს, მას თან ახლდა ოსმალთა და ლეკთა ჯარი, ახალციხის ფაშას დახმარებით. სოლომონ II დახვდა თავისი ლაშქრით, ამ ბრძოლაში იგი დამარცხდა და დავითმა ცოტა ხნით ისევ დაიკავა ტახტი. სოლომონმა დახმარებისთვის ერეკლეს მიმართა, როგორც თავის მტკიცე საყრდენს და ძალას, ასევე მეორე მხრივ, მას დამხმარედ ეგულებოდა გრიგოლ დადიანი თავისი ცოლის ძმა. მართლაც, მათი მეშვეობით იმერეთიდან საბოლოოდ გააძევეს დავითი.

1790 წლის ივნისში ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია, ოდიშის სამთავროები ფიცით განმტკიცებულ ტრაქტატს დებენ, ,,ივერიელთა ერთობის ტრაქტატი'' (რეხვიაშვილი, 1989: 305) ამ სახელწოდებით, აღნიშნული დოკუმენტი ოთხ ეგზემპლარად გადაწერილი წარეგზავნათ მთავრებს და მათი ხელისმოწერითა და ბეჭდით დადასტურდა.

ერეკლე II, სოლომონ II, დადიანი გრიგორ და გურიელი სიმონ აღიარებდნენ ერთობას გარეშე მტრის წინააღმდეგ, ჰპირდებოდნენ ერთმანეთს დახმარებას მშვიდობიანობის დასამყარებლად, აღუთქვამდნენ ზრუნვას ოჯახის კეთილდღეობისათვის (ხახანაშვილი, 1911: 10). ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ტრაქტატის შედგენაში დიდი წვლილის შემტანი ქართლ-კახეთის ვიცე-კანცლერის სოლომონ ლეონიძის მოსაზრება, რომელსაც ღიად და დაუფარავად აცხადებდა. იგი თვლიდა, რომ შინამოკავშირეობით არის შესაძლებელი გარე ძალების დათრგუნვა და გავლენის შესუსტება, რუსეთის მფარველობაში შესვლას კი დროებით სამოქმედო გეგმად თვლიდა, ეს იყო ერთადერთი საშუალება ოსმალთა და სპარსთა აგრესიისგან თავის აცილებისა, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს საფრთხე მოიხსნებოდა და საქართველო ძალებს მოიკრებდა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩენილიყო რუსეთის მფარველობაში.

1787-1791 წლის ომის დასასრული. 1791 წლის 29 დეკემბერს იასში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, იასის ზავი, რომელმაც სრულად დაადასტურა 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით გათვალისწინებული პირობები. იასას ზავი დასავლეთ საქართველოსაც შეეხო, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ქუჩუკ-კაინარჯის ყველა მუხლს იმეორებდა პირობები ისევ იგივე რჩებოდა და რადგანაც 1774 წლის ტრაქტატი მიჩნეულ არს როგორც რუსეთის მიერ დადებულ პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებად, რომელიც საქართველოს ინტერესებს იცავდა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იასას ზავიც საზიანო არ უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოსთვისაც.

როგორც მოსალოდნელი იყო სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ მეტად რთული აღმოჩნდა იმერეთის სამეფოს ბედი, თითქმის სრულად

გაიფანტა იმედები ორი სამეფოს გაერთიანების იდეაზე ზრუნვისა, რომელსაც ესოდენ მონდომებით განიხილავდნენ ორი ძლიერი მთავარი ერეკლე II და სოლომონ I. ერეკლე მეორეს მოსვენებას არ აძლევდნენ გადიდკაცებული, ზნედაცემულობის ზღვარზე მყოფი ფეოდალები დიდის მონდომებით უკრძალავდნენ არ ჩარეულიყო იმერეთის სამეფოს საშინაო საქმეებში, ეს ყოველივე ნათლად გამოჩნდა მეფის არჩევის დროს დიდგვაროვანთა მხრიდან წარმოთქმული სიტყვებიდან, რომელიც ერთგვარად გამაფრთხილებელ შინაარს ატარებს, თუკი ერეკლე მეფე ვერ ახერხებს, რომ ქართლში, თავის სამფლობელოში უზრუნველყოს მშვიდობა და საფრთხე ექმნება მის მეფობას, მითუმეტეს იმერეთში ვერ შეძლებს, რომ მშვიდობა და წესრიგი დაამყაროს, სწორედ ამიტომ უნდა დაეტოვებინა იმერეთი და ფეოდალებისთვის მიეცა უფლება აერჩიათ სასურველი კანდიდატი მეფობისთვის. (საქ. ისტორია ოთხ ტომად, რ.მეტრეველის რედაქტორობით, 2022: 457).

1806 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის კიდევ ერთი ახალი ომი, რომელიც 1812 წლამდე გაგრძელდა. ოსმალეთი განაწყენებული იყო იმერეთისა და სამეგრელოს დაკარგვით.

XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას ოთხ საუკუნოვანი ისტორია ჰქონდა. ასეთმა ხანგრძლივმა დაშლილობამ ძალზე შეაფერხა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული წინსვლა. საერთოდ შესუსტდა ქართული ენისა და მწერლობის მნიშვნელობა (დუმბაძე, 1973: 845).

1804 წლის 25 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება ელაზნაურის ტრაქტატი, რომლის ძალითაც იმერეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა (ნ.ჭეიშვილი, 1919: 33). 1804 წლის 25 აპრილს იმერეთის მეფემ ხელი მოაწერა სათხოვარ მუხლებს, რომელთა ძალითაც მეფე რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი გახდა, ხოლო იმერეთის სამეფო - რუსეთის შემადგენელი ნაწილი. ასე შეიერთა რუსეთმა იმერეთის სამეფო (რეხვიაშვილი, 1989: 343). სათხოვარი პუქტები, რომელთაც მეფემ ხელი მოაწერა ითვალისწინებდა შემდეგ შინაარს: იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნად ცხადდებოდა. სოლომონს მეფობა უნდა დამტკიცებოდა საშვილიშვილოდ ხოლო თუ ძე არ ეყოლებოდა, მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი იგულისმებოდა. იმერეთის მეფის ტახტზე ასვლა იმპერატორის თანხმობით უნდა მომხდარიყო, ხოლო იმერეთის მეფე თავის მხრივ პირობას დებდა, რომ ყველაფერში დაემორჩილებოდა მთავარსარდალს და მისი ერთგული იქნებოდა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს ამიერიდან რუსეთის მოხელეები აწარმოებდნენ. აგრეთვე, მეფე ვალდებული იყო იმერეთის ტერიტორიაზე დაბანაკებული რუსეთის ჯარი უზრუნველყო. მეფის ხელისუფლება ითხოვდა წილს ყოველგვარ მომგებიან საქმეში,მაგალითად ასე, თუკი იმერეთის ტერიტორიაზე რაიმე სახის მადნეულობა აღმოჩნდებოდა და მათი მოპოვების ფაქტი, შემოსავლის გარკვეული წილი უნდა მიეღოთ. ასევე ახალი ქალაქის გაშენების შემთხვევაში თუ მისგან სარგებელი იქნებოდა მეფეს წილი უნდა მიეღო. თუკი გემთმშენებლობისთვის გამოსადეგ ხეტყეს აღმოაჩენდნენ მეფეს იგი უსასყიდლოდ უნდა გადაეცა რუსეთისთვის.

მეფეს უნდა დაებრუნებინა სამეგრელოდან წამოყვანილი ტყვეები და დადიანთა მიმართ არანაირი პრეტეზია არ უნდა წარმოეთქვა. მეფეს უნდა დაემტკიცებინა კოსტანტინე ბატონიშვილისათვის საბატონიშვილო მამული, მხოლოდ ერთი პირობით, კონსტანტინეს იმერეთში არ უნდა ეცხოვრა, რადგან შინა არეულობისა ეშინოდათ. აიკრძალა გადასვლა-გადასახლება ერთი ადგილიდან მეორეში ხელისუფლების ნებართვის გარეშე. ასეთი შეთანხმებებით მეტად კმაყოფილი გახლდათ პავლე ციციანოვი.

1806 წლის დასაწყისში, ციციანოვი ბაქოს ციხის მახლობლად დაბანაკდა. ამავე წელს ელიზბარ ქსნის ერისთავის მეშვეობით ბაქოს ხანს დამორჩილება და ციხის გასაღების გადმოცემა მოსთხოვა. ხანმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში თვალთმაქცურ ხრიკს მიმართა, თითქოსდა დათანხმდა გასაღების გადაცემაზე და თავისთან მიიწვია. ციციანოვი შეხვდა ხანს და როდესაც გასაღების გადაცემის შემდეგ მოულოდნელად ხანის მხლებელმა დამბაჩა გაისროლა მისი მიმართულებით, ასევე ამ დამბაჩას შეეწირა ქსნის ერისთავიც. ციციანოვს თავი მოკვეთეს და ირანის შაჰს აბას მირზას გაუგზავნეს. 1806 წელს მოკლული მთავარმართებლის ციციანოვის ადგილას ინიშნება გუდოვიჩი საქართველოსა და კავკასიის მეთვალყურეობის გარდა ახალად მოსულმა მთავარმართებელმა იმერეთის მეფესაც მიაპყრო ყურადღება (ხახანაშვილი, 1911: 29-30).

იმერეთის მეფე არ წყვეტდა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, იმედის მომცემ და ხელსაყრელ პირობებად თვლიდა რუსეთ-ოსმალეთის ომებს, რადგან რუსეთს ომების მიმდინარეობის დროს მთლიანი რესურსები და ძალა ოსმალეთთან ბრძოლაში ეხარჯებოდა. მეფე იყენებდა შემდეგ ტაქტიკას, ორივე სახელმწიფოს ერთგულებას აჩვენებდა, რეალურად კი არცერთ მათგანს არ ენდობოდა. რუსეთისთვის ადვილად წარმოსადგენი იყო, რომ შესაძლოა სოლომონი ორმაგი თამაშით ყოფილიყო დაკავებული. ამიტომაც, როგორც კი იმერეთში ციციანოვის დაღუპვის ამბავმა მიაღწია, გენერალმა რიკჰოფმა ქუთაისი დაიკავა თავისი ჯარით. სოლომონს ქალაქის გათავისუფლება სურდა. ამავდროულად, იმერეთის სამეფოს ბედს კიდევ უფრო ამძიმებდა ამავე წლის ოქტომბერს ალექსანდრეს უკანონო შვილის (რომელიც სოლომონ I-ის შვილიშვილი გახლდათ) გიორგის საპყრობილედან გათავისუფლება, მეფის მტრებს სურდათ ტახტისთვის ბრძოლის მოტივით აემხედრებინათ სოლომონისთვის და ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. როგორც ირკვევა, სამეგრელოს მთავარი ნიკო დადიანი, რომელიც გათავისუფლებულ იქნა ქელეშბექის ტყვეობიდან სწერდა გუდოვიჩს: ,,ეხლა შემთხვევა გვეძლევა, რომ იმერეთი დავიპყრათ... მითუმეტეს, რომ ბატონიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე გათავისუფლებულია ციხიდან და ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია მისი დახმარებით ჩავქოლოთ ძლიერება სოლომონ მეფისა''(ჭეიშვილი, 1919: 36-37). სოლომონმა მოუწოდა გენერალს, რომ ჯარი გაეყვანა ქუთაისიდან. ამჯერად საქმეში გუდოვიჩი ჩაერთო, იგი სოლომონს არწმუნებდა, რომ ჯარი თავისი უსაფრთხოების მიზნით დგას ქუთაისში. რუსების ეჭვის გამყარებას სოლომონის ღალატში მეტად სარწმუნოს ხდიდა მეფის მიერ სახლთხუცეს ზურაბ წერეთლის ჩამოშორება და მისი მომხრე როსტომ ნიჟარაძის დაახლოვება. გამომდინარე იქედან, რომ წერეთელი

ძალზე ანგარებიანი დიპლომატი გახლდათ და დიდ როლს ასრულებდა იმერეთის სამეფოს მოსპობაში. გრაფი გუდოვიჩი აცნობიერებდა, რომ სოლომონი არ იყო რუსეთის მორჩილი, ადვილად სამართავი მეფე ,,საიმედო ვასალი'' (ხახანაშვილი, 1911: 30).

1808 წელს ზურაბ წერეთელი რუსეთს ატყობინებს, რომ სოლომონმა მიზნად დაისახა ქუთაისის გათავისუფლება დაქირავებული ლეკთა ლაშქრის მეშვეობით. ამ დროს კი სოლომონი იმერეთის შედარებით მიუვალ ადგილებს აფარებს თავს და იქიდან ცდილობს რუსეთის მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიოს. გუდოვიჩი კი ჯარის მეტად გაძლიერებას იწყებს, რათა მზად იყოს მოსალოდნელი გართულებებისას. სოლომონი მიხვდა რას მოასწავებდა ქუთაისში ჯარის დამატება და გაძლიერება, ამიტომ მან ზურაბ წერეთლის პირით რუსეთის ხელმწიფეს შეუთვალა ერთგულების გზაზე დადგომის ფიცი, როდესაც ერთგულების დამტკიცებაზე მიდგა ჯერი ახალციხის საზღვართან გაიქცა და იქედან ითხოვდა ლეჩხუმის დაბრუნებასა და ქუთაისიდან ჯარის გაყვანას. შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლა ახალციხის ფაშამ, წარმომადგენელი გაგზავნა ხონთქარის წინადადებით ძვირფასი ძღვენით და ოსმალეთის მფარველობაში შესვლა შესთავაზა. როგორც ჩანს, ხონთქრის ყურადღებამ მეტად შეაგულიანა იმერეთის მეფე და საყვედურის წერილი გაგზავნა გენერალ რიკგოფთან, სადაც საუბარია იმაზე თუ როგორ მოტყუვდა იმერეთის მეფე, არც ლეჩხუმი დაუბრუნეს, არც ქუთაისიდან გაიყვანეს ჯარები, თვითონ კი გაქცეული თავს აფარებდა მიუვალ ადგილებს. იგი ხაზს უსვამს, რომ ეს არის მეფის დამცირება.

ალექსანდრე I იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც გუდოვიჩის ჩაგონებით იყო ნაკარნახევი, სოლომონის დაშოშმინების გზას მხოლოდ მისი ტახტიდან განყენება წარმოადგენდა. ასეც მოხდა, მთავარმართებელმა მიიღო ბრძანება, სოლომონ მეფე გადაეყენებინათ ტახტიდან და ოჯახთან ერთად რუსეთში გაეგზავნათ. იმერეთში კი დროებითი მმართველობა დამყარდებოდა. დახმარებისთვის მიმართეს წერეთელს, რადგან მრავალგზის გამოცდილი ყავდათ რუსეთის ერთგულებასა და რუსეთის მეფის მთავრობის საამებლად ჩადენილ საქმიანობებში. დახმარების სანაცვლოდ უბოძეს პოლკოვნიკის ჩინი და ათას ორასი მანეთი პენსია. ზურაბ წერეთლის თვითმიზანს ყოველთვის მეფის გვირგვინის თავზე დადგმა წარმოადგენდა და ის პირობები, რაც რუსებმა შესთავაზეს სულაც არ ეპიტნავა და რადგანაც ტახტზე ასვლის იმედი არსად ჩანდა, ისეც სოლომონის დახმარება არჩია. ამ დროს კი გუდოვიჩმა მეფის დასაჭერად დამხმარე ძალის გამონახვა დაიწყო და იპოვნა კიდეც, გენერალი ორბელიანი, რომელიც კარგად იცნობდა იმერეთის მხარეს და მეფის პოვნაც არ გაუჭირდებოდა. მათი შეხვედრა შედგა მდინარე ყვირილას ნაპირთან. მოლაპარაკებები სამი დღე გრძელდებოდა, თუმცა უშედეგოდ, მეფე უარს აცხადებდა ქუთაისში დაბრუნებაზე, სანამ იქ რუსის ჯარი იდგა რუსეთში დესპანების გაგზავნაზე საპასუხო მიზეზად ლეჩხუმის დაბრუნების საკითხის გაჭიანურება დაასახელა. ამასობაში, კავკასიის მთავარმართებლის გუდოვიჩის ადგილს იკავებს გენერალი ტორმასოვი. სოლომონმა ამჯერად მასთან წარგზავნა წერეთელი, რათა სრულად გაეცნო შექმნილი ვითარება. ტორმასოვს იმერეთში მშვიდობის

დამყარება სურდა, მაგრამ არც სოლომონის მოთხოვნების დაკმაყოფილების იდეა არ ხიბლავდა, თანაც გადაჭრით ახსენა, რომ მეფის იმერეთიდან განდევნა უმაღლესთა მიერ არის ნაბრძანები.

1809 წელს ფოთისათვის განახლდა ბრძოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალი ორბელიანი. ოსმალთა გარნიზონი მამაცად იცავდა თავს, მაგრამ რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება. ფოთის აღებისთვის მზადების დროს სოლომონმა ისარგებლა შექმნილი სიტუაციით, რუსეთის ჯარი დაკავებული იყო და ყველა რესურსი ფოთისკენ ქონდათ მიმართული. ამ დროს გასწია ახალციხის საზღვრისკენ, რომ პირადად ენახა მისი დაუძინებელი მტერი ალექსანდრე ბატონიშვილი. ამასთანავე, ახალციხის ფაშა სელიმთან ელჩების სახით გაგზავნა თავისი სიძე, როსტომ ნიჟარაძე და რაჭის ერისთავი. მათი სტუმრობის მიზანს წარმოადგენდა მოწოდება ფაშას მიმართ, რათა გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ საერთო მტრის რუსეთის წინააღმდეგ და საერთო ძალით განედევნათ რუსები იმერეთიდან.

იმერეთის თავადაზნაურობამ ტორმასოვს თხოვნით მიმართა, რათა დაეცვათ ციციანოვის დროს მეფესთან გაფორმებული ხელშეკრულება და ლეჩხუმი კვლავ იმერეთისთვის დაებრუნებინათ. ამავე დროს, ახალი მფარველობის პუნქტები შეემუშავებინათ და ჯარიც გაეყვანა ქუთაისიდან, მაგრამ ამ თხოვნას გენერალმა შემდეგნაირად უპასუხა, ორბელიანს ბრძანება მისცა რა გზითაც არ უნდა ეცადა მეფე სოლომონი უნდა შეეპყრო და დაეტყვევებინა (რეხვიაშვილი, 1989: 359).

მეფის აგენტები იმერეთის მოსახლეობაში რუსეთის მიმართ აგრესიული დამოკიდებულების შექმნას აღვივებდნენ. მათ შეკრიბეს ოდიშის, ლეჩხუმის თავადაზნაურობა, სამღვდელოება და დააფიცეს სოლომონ მეფის ერთგულებაზე. დაადებინეს პირობა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარებოდნენ რუსების ჯარს საარსებო პროდუქტებით და არ შეუშვებდნენ თავიანთ სოფლებში. ამგვარი მოწოდებების გავრცელებამ თავისი შედეგი გამოიღო. 1809 წლის ივლისში თავს დაესხნენ კაზაკთა რაზმს, წარმატებით განახორციელეს სხვა რამდენიმე თავდასხმაც, მათ შორის ფოთში დასახმარებლად მიმავალ ბატალიონზე. 1809 წლის სექტემბერში ტორმასოვი რუმიანცევს წერდა, რომ მეფე სოლომონს შეხვედრა ჰქონდა ბატონიშვილთან, რომელიც საკმაოდ დიდი ფულით მოვიდა ახალციხეში, რათა ახალციხის ფაშას იმერლები და ოსები აემხედრებინა რუსთა ჯარების წინააღმდეგ. ცხადია, რომ რუსი გენერლები მცირედითაც კი არ ენდობოდნენ სოლომონს, მეტიც მისგან ღალატს და გამანადგურებელ დარტყმებს ელოდნენ.

1809 წლის ოქტომბერში ოსმალებმა ფოთის ციხეზე იერიში მიიტანეს, ასეთ პირობებში რუსებმა მოკავშირის ძებნა დაიწყეს და საჭირო კანდიდატად გურიის მთავარი შეარჩიეს, რადგან იგი სხვათა შთაგონებით კვლავ განდგომოდა სოლომონს. 1809 წლის ნოემბერი, მამია გურიელმა დარტყმა მიაყენა ოსმალეთის ჯარს, მეორე მხრიდან კი რუსეთისა და სამეგრელოს გაერთიანებული ჯარები დაესხნენ თავს. ორმხრივი შეტევისგან დაბნეულმა და დასუსტებულმა ოსმალებმა უკან დახევა ამჯობინეს და უმეტესმა მათ-

განმა გაქცევით უშველა თავს. რუსეთის ხელისუფლებამ და გურიის სამთავროს დამოუკიდებლობა მიანიჭა, გაათავისუფლა იმერეთის სამეფოსგან.

გამომდინარე იქიდან, რომ იმერეთის სამეფოს ბედი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ იყო და სოლომონი ფაქტობრივად ბეწვის ხიდზე იდგა, 1810 წლის იანვარში სოლომონ მეფე ტორმასოვს უგზავნის წერილს, სადაც გარკვევით არის საუბარი ხელშეკრულების პირობების დარღვევაზე. კერძოდ, მეფე ახსენებს ციციანოვთან დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც მათ დაარღვიეს: ლეჩხუმს დაჰპირდნენ და არ მისცეს, ციხე დეხვირის მცველები ამოწყვიტეს და ეს ციხე დადიანს გადასცეს. ლიტვინოვმა აგლიჯა მეფის ბეჭედი ქუთათური ვაჭრის დუქნიდან. 120 კაციანი ჯარის მაგივრად გაცილებით მრავალრიცხოვანი ბატალიონი ჩააყენეს ქალაქში, წაართვეს ქუთაისი, არ დაინდეს მისი სიძეც დავით წულუკიძე და სასტიკად სცემეს (ხახანაშვილი, 1911: 38-39).

მანამ სანამ გენერალი ტორმასოვი ამგვარი შინაარსის წერილს მიიღებდა, მან მოთხოვნა გაუგზავნა სოლომონ მეფეს, სადაც სწერს, რომ ნაბრძანები აქვს თუ სოლომონი კვლავაც გაჯიუტდება და მორჩილებას არ გამოიჩენს, ძალით ჩამოერთვას მეფობა შემდეგი პირობების მიხედვით: სამი დღის განმავლობაში სიმონოვიჩს უნდა წარუდგინოს კონსტანტინე ბატონიშვილი, მისი სიძე ანდონიკაშვილი, სოლომონ ლეონიძე, როსტომ ნიჟარაძე, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი, რათა გაგზავნონ პეტერგბურგში, როგორც დესპანები. მეფე გადავიდეს საცხოვრებლად ქუთაისში და მესამე დაუყონებლივ გაგზავნოს სამადლობელი წერილი იმპერატორთან, გამოხატოს მადლიერება, რომ მან სამუდამო მფარველობაში მიიღო იმერეთის სამეფო (ჭეიშვილი, 1919: 49). წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში თუ სოლომონი არ შეასრულებდა პირობებს მაშინ ხმლის გამოყენებით მოუწევდათ აღნიშნულ პირობებზე დაყოლიება. მეფეს სამუდამოდ ჩამოაშორებდნენ ტახტს და შეიკრიბებოდა დროებითი მმართველობა, რუსი მოხელეების მონაწილეობით. ამასობაში კი დადგა 20 თებერვალი, მეფისათვის მიცემული ვადის ამოწურვის დღე, ქუთაისში გამოჩნდა სიმონოვიჩი და მოსახლეობა დიდი მონდომებით დააფიცა იმპერატორის ერთგულებაზე. მეორე დღეს ქუთაისს მოვიდა გელათელი მიტროპოლიტი დავით, რომელმაც შეატყობინა, რომ მეფე ცრემლითა და დიდი სინანულით ითხოვს შენდობას, იმპერატორის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების გამო, მაგრამ მაშ როგორ უნდა მიეღოთ ეს ამბავი სარწმუნოდ, როდესაც მეფის გამცემთა მხრიდან ხმა გამოვიდა, რომ 19 თებერვალს სოლომონმა ახალციხის ფაშასთან თავისი წარმომადგენელი გაგზავნა, რათა ლეკების დაქირავება ეთხოვა რუსეთის მეფის წინააღმდეგ. მოლაპარაკებები კვლავაც გრძელდებოდა. 24 თებერვალს ქუთაისში მიდიან მიტროპოლიტი გენათელი და თავადი სეხნია წულუკიძე. ამ მოლაპარაკებების პროცესში რუსთა ჯარი თანდათან უახლოვდებოდა მეფის სამყოფელს, მოსახლეობა ნელ-ნელა ტოვებდა საცხოვრებლებს, თავადთა გარკვეული ნაწილი მიუვალ ციხეებში იწყებდა გადასვლას. ,,28 მარტს სოლომონ მეფე როგორც ,,სახელოვანი ტყვე'' ეახლა ტორმასოვს, ვარიანში'' (ხახანაშვილი, 1911: 59). მეფე დაატყვევეს და თბილისში მიუჩინეს ადგილი. 1810 წლის 11 მაისს მეფე

გაიქცა, იმპერატორმა უმალ გამოგზავნა ბრძანება, სადაც მკაცრად ითხოვდა მეფის გაპარვაში არსებული ყველა პირდაპირ თუ არაპირდაპირად მოქმედი პირის დასჯას. მართალია, მეფის ტყვეობიდან გამოხსნა მძიმედ დაუჯდათ იმერლებს, მაგრამ წინ ბევრად უარესი რამ ელოდათ. დაატუსაღეს მეფის ოჯახის წევრები, ნათესავები, კავშირში მყოფი პირები. სიმონოვიჩმა გამოსცა პროკლამაცია, რომლის ძალითაც ყველა ის პიროვნება, რომელიც შეიმჩნეოდა მეფის სამსახურში, რაც იმას გულისხმობს მეფის წერილების დანიშნულების პუნქტამდე მიტანა, მეფისთვის ხელის შეწყობა სხვა ნებისმიერი სახით, აღნიშნული პირები დაისჯებოდნენ ციმბირში გადასახლებით.

1810 წლის 29 ივნისს ალის ხეობაში გამართულ სასტიკ ბრძოლაში მარცხი განიცადა ორბელიანის რაზმმა, რამაც განარისხა ტორმასოვი, რადგან ორბელიამა ვერ გათვალა რისკები თუ როგორ დაცული ჰქოდათ ალის ხეობა იმერლებს. ტორმასოვი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა იმაში, რომ იმერეთის დაშოშმინების მთავარი იარაღი მეფის დამორჩილება იყო, თუმცა სოლომონი ხედავდა რა საფრთხეს ყველა მხრიდან, ამიტომაც არ ენდობოდა არავის და მალ-მალე იცვლიდა ადგილებს.

როგორც ვხედავთ, იმერეთის სამეფოს გარშემო დიდი ქარცეცხლი ტრიალებს. ამ ამბების ფონზე კი თვალი ვადევნოთ რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობას. რუსეთის არმიამ წარმატებები მოიპოვა კავკასიის ფრონტზეც, 1810 წელს რუსებმა აიღეს ფოთი და სოხუმი მომდევნო წელს კი ახალქალაქი. 1812 წლის 16 მაისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ბუქარესტის ტრაქტატი. ბუნებრივია, როგორც ყველა მანამდე არსებული ტრაქტატი ამჟამინდელი ბუქარესტის ზავიც შეეხო საქართველოს, იმ განსხვავებით, რომ უკვე საუბარია დადგენილ კანონზე, რომლის ძალითაც საქართველოს სამეფო სამთავროების რუსეთის მფარველობაში შესვლა ოსმალეთმაც აღიარა.

იმერეთის მეფისთვის კი სულ სხვაგვარად დატრიალდა ბედის ჩარხი. მეფე იძულებული გახდა საერთოდ გასცლოდა სამშობლოს და ჯერ არზრუმს გადავიდა, სადაც სულთანმა მუდმივი ბინა მიუჩინა, მაგრამ რუს მოხელეთა ცბიერება აქაც კი მისწვდა მეფეს, 1812 წელს გამოიპარა და ტრაპიზონს შეაფარა თავი. მართალია, იქაურმა ფაშამ დიდი პატივით მიიღო და ყოფაც უფრო შეუმსუბუქდა, მაგრამ ქვეყნის ბედზე მოშიშე მეფეს ერთადერთი სადარდებელი ჰქონდა, წუთისოფელი ისე არ დაეტოვებინა, რომ სამშობლოს მიწა არ ენახა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ ოცნებაში მყოფმა განუტევა სული 1815 წლის 7 თებერვალს.

დასკვნა

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში იმერეთის სამეფოს როლის შესახებ წარმოვაჩინოთ ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც თვალსაჩინო მიგნება გახდა სტატიის დასკვნითი ნაწილის ჩამოყალიბებისათვის, ეს საკითხებია:

XVIII-XIX საუკუნეების მანძილზე რუსეთ-ოსმალეთს არაერთი სამხედრო დაპირისპირება ჰქონდათ. ორი იმპერიის კონფლიქტის ძირითადი მიზეზი გეოპოლიტიკური მისწრაფებები და სავაჭრო-ეკონომიკური

კონკურენცია იყო. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირების არეალში საქართველოს დასავლეთ ნაწილიც მოექცა, რადგან შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება და მყარი საყრდენის შექმნა ორივე სახელმწიფოს თვითმიზანს წარმოადგენდა.

მკაფიოდ გამოიკვეთა დაპირისპირებულ მხარეთა გაძლიერებული ინტერესი იმერეთის სამეფოს მიმართ, დაპყრობითი ხასიათის ქმედებების განხორციელებას ორივე მათგანი სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ცდილობდა.

საკმაოდ შესამჩნევი გახდა ომის მსვლელობის დინამიკაში რუსეთის უპირატესობების გამოვლენა, მისი საგრძნობლად გაძლიერება, რაც ხაზს უსვამს ოსმალეთის გავლენის შემცირებას კავკასიასა და დასავლეთ საქართველოზე, მათ შორის იმერეთის სამეფოზეც.

ნათლად დავინახეთ რუსეთის საშიში და დამღუპველი გავლენა იმერეთის სამეფოზე და სოლომონ II-ის სკეპტიციზმი რუსეთის ხელისუფლებისადმი, რაც დაუმორჩილებელ ბრძოლაში გადაიზარდა.

ვფიქრობთ, მიღებული ინფორმაცია საინტერესო იქნება საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო წრეებისთვის. განსაკუთრებით კი საქართველოს სამეზობლო ურთიერთობების დაკვირვების, იმერეთის სამეფოსა და სამთავროების სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის, გეოპოლიტიკის შეფასების მიზნით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ბურჯანაძე, შ. (1961). *იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში.* ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. თბილისი.

ბურჯანაძე, შ. (1967). *იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს (1794-1810 წწ.).* საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე - საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო - 1967-3. თბილისი.

გურული, ვ. (2010). *საქართველო და გარესამყარო 1700-1921.* გამომცემლობა: ,,უნივერსალი''. თბილისი.

დუმბაძე, მ. (1973). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV.* გამომცემლობა: საბჭოთა საქართველო. თბილისი.

მეტრეველი, რ. რედაქტორობით. (2022). *საქართველოს ისტორია ოთხ ტომად.* გამომცემლობა: ,,პალიტრა L''. თბილისი.

რეხვიაშვილი, მ. (1989). *იმერეთის სამეფო (1462-1810წ.წ).* უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

ჭეიშვილი, ნ. (1919). *რუსეთის პოლიტიკა და იმერეთის მეფე სოლომონ II.* თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის გამოცემა. ქუთაისი.

ხახანაშვილი, ალ. (1911). *მეფე იმერეთისა სოლომონ II(1810-1910) .* გუტენბერგის სტამბა წიგნის მაღაზია «ცოდნა»-ს გამოცემა N 48. თბილისი.

Ekaterine Sokhadze

THE KINGDOM OF IMERETI IN THE RUSSIAN-OTTOMAN RELATIONS IN THE SECOND HALF OF THE 18TH CENTURY AND THE END OF THE 19TH CENTURY

Abstract

The article discusses the position of the Kingdom of Imereti in Russian-Ottoman relations in the second half of the 18th century and the beginning of the 19th century which shows that this historical period brought about turning points for all three powers. The work describes the foreign policy of Imereti and its internal socio-economic life amid the acute confrontation between the two empires, which marked the reigns of Solomon I and Solomon II. Based on the available historical materials, all the threats that the Kingdom of Imereti faced, including the ambitious and destructive treacherous alliances with enemies of the rulers of other principalities, are outlined. Amid the analysis of the results of Russian-Ottoman-Imereti relations, the article emphasizes growing dynamics of Russia's aggressive policy, since it ultimately concluded with the abolition of the Kingdom of Imereti and other principalities.

Keywords: Russian-Ottoman relations, Kingdom of Imereti, Solomon I, Solomon II, foreign policy, war, peace treaty.